

მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტის (მსს ფასს) მიხედვით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგებები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, ვარაუდები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში
4. ძირითადი საშუალებები
5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები
6. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება
7. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები
8. საწესდებო კაპიტალი
9. ნასესხები სახსრები
10. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება
11. შემოსავალი
12. გაყიდვების თვითღირებულება
13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები
14. დისტრიბუციის ხარჯები
15. სხვა საოპერაციო ხარჯები
16. ფინანსური ხარჯები
17. გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები
18. ფინანსური ინსტრუმენტები
19. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან
20. ანგარიშგების თარიღის შემდგომ განვითარებული მოვლენები

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხა გამოხატულია ქართულ ლარში)

		12/31/2020	12/31/2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	62,580	103,629
		62,580	103,629
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	674,841	428,493
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	305,814	291,280
მარაგები	8	39,845	35,638
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	9	-	-
		1,020,500	755,411
მთლიანი აქტივები		1,083,080	859,040
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		855,030	704,202
		855,030	704,202
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
		-	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13	228,050	154,838
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
გადასახდელი დივიდენდი		-	-
		228,050	154,838
მთლიანი ვალდებულებები		228,050	154,838
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		1,083,080	859,040

დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად დ. ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2021 წლის 30 სექტემბერს შემდეგი ხელმოწერა:

გენერალური დირექტორი
/გეგმები/

ფინანსური დირექტორი /ხელმოწერა/



სრული შემოსავლის ანგარიშგება

(თანხა გამოხატულია ქართულ ლარში)

	შენიშვნები	2019	2019
შემოსავალი		3,731,412	3,001,246
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		-3,105,519	-2,415,794
მთლიანი მოგება		-625,893	-585,452
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		-297,572	-318,180
მარკეტინგული ხარჯი		0	0
სხვა საოპერაციო ხარჯები		-185,247	-122,058
სხვა შემოსავალი		7,753	9,624
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		150827	154838
ფინანსური ხარჯები		0	0
მოგება მოგების გადასახადით დაბეგრამდე		150827	154838
მოგების გადასახადის ხარჯი		0	0
წლის მოგება		150827	154838
სხვა სრული შემოსავალი		0	0
სულ სრული შემოსავალი წლის ბოლოს		150827	154838

დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს შემდეგი ხელმოწერით:

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი / ხელმოწერა/

/ბეჭედი/



კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება
(თანხა გამოხატულია ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/(დაგროვი ლი დეფიციტი)	სულ
2019 წლის 1 იანვარი	0	549365	120,774
სულ სრული შემოსავალი წლის ბოლოს	0	154838	174,065
2018 წლის 31 დეკემბერი	0	704203	294,839
სულ სრული შემოსავალი წლის ბოლოს	0	150827	254,526
2019 წლის 31 დეკემბერი	0	855030	549,365

დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერი შემდეგი ხელმომწერების მიერ:

გენერალური დირექტორი /ხელმოწერა/

ფინანსური დირექტორი /ხელმოწერა/

/ბეჭედი/



ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები - 2020 წლის 31 დეკემბერი

(თანხები გამოხატულია ქართულ ლარში)

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „გოლდ ვეი გრუპ“ (შემდგომში „კომპანია“) 2014 წლის 09 ოქტომბერს დაფუძნდა და მისი იურიდიული მისამართი მდებარეობს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელსაც საქართველოს მარეგულირებელი წესების შესაბამისად დაარსდა.

კომპანიის უშუალო მესაკუთრეს წარმოადგენს გიორგი ლოლუა (პ.ნ. 42001034864).

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საერთაშორისო და ადგილობრივი გადაზიდვების განხორციელება ქვეკონტრაქტორების მიერ განხორციელებული ქვე-მომსახურების მეშვეობით.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილია: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, დ. თავხელიძის ქ. N1 სად. 3. ბინა N51

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება

მომზადების საფუძველი. კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად მომზადება მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან თავისი მოსაზრებების გამოხატვას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობით ან სირთულით გამოირჩევა, ან სფეროები, რომელშიც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ამ ფინანსური ანგარიშგებისთვის, მე-3 შენიშვნაშია წარმოდგენილი.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. ფინანსურ ანგარიშგებაში შემავალი მუხლები ფასდება იმ ეკონომიკურ გარემოში მოქმედი ვალუტით, რომელშიც კომპანია საქმიანობს (შემდგომში „ფუნქციონალური ვალუტა“). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღეს მოქმედი კურსით. ასეთ ოპერაციებზე განხორციელებული ანგარიშსწორების და

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების წლის ბოლოს მოქმედი კურსით კონვერტაციის შედეგად გამოწვეული სავალუტო მოგება და ზარალი აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ნასესხებ თანხებთან და ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებთან დაკავშირებული სავალუტო მოგება და ზარალი წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლში - „ფინანსური შემოსავალი ან ხარჯები“. ყველა სხვა სავალუტო მოგება და ზარალი წარმოდგენილია სრული შემოსავლის ანგარიშგების მუხლში - „სხვა საოპერაციო ხარჯები“ ან „სხვა მოგება“.

	31/12/2020	31/12/2019
1 USD/GEL	3.2766	2.8677
1 EUR/GEL	4.0233	3.2095

კომპანია ფინანსურ ანგარიშგებას მომზადებისას იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ მოცემული „ბრძანება №6-6“-ში მოცემულ მე-3 კატეგორიის საწარმოებისთვის განკუთვნილ შეღავათს და არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები აღირიცხება მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს მასალების ღირებულებას და, საჭიროების შემთხვევაში, პირდაპირ შრომით დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება განისაზღვრება FIFO მეთოდით (რომლის საფუძველზეც მარაგებში პირველი შემოსული, პირველი გავა). ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი სამეურნეო პროცესისთვის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასით, ხოლო შემდეგ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვი მაშინ იქმნება, როდესაც ობიექტური მტკიცებულება არსებობს იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების თავდაპირველი პირობების შესაბამისად გადასახდელი თანხების ამოღებას.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები ფასდება რეალური ღირებულებით, დაგროვილი ცვეთის და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. რეალური ღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია აქტივის მოცემულ

ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და ხელმძღვანელობისთვის სასურველ სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

კომპანია ძირითადი საშუალების ერთი ნივთის საბალანსო ღირებულებას უმატებს ამ ნივთის ჩასანაცვლებელი ნაწილის ხარჯს, როდესაც ამ ხარჯის გაწევა ხდება, თუ მოსალოდნელია, რომ ჩასანაცვლებელი ნაწილი მომავალში დამატებით სარგებელს მოუტანს კომპანიას. ჩანაცვლებული ნაწილის საბალანსო ღირებულება არ აღიარდება. ყველა სხვა სარემონტო სამუშაოები და ტექნიკური მომსახურება აღირიცხება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, როდესაც ასეთი ხარჯების გაწევა მოხდა.

სხვა აქტივების ცვეთა ისე დაირიცხება, რომ გამოიყოს აქტივების თვითღირებულება, სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაში ნარჩენი ღირებულების გამოკლებით. სხვა აქტივების ცვეთა დაირიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით. სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადებია:

ავეჯი და საოფისე აღჭურვილობა

3-12 წელი

სატრანსპორტო საშუალებები

6 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და ცვეთის დარიცხვის მეთოდების გადახედვა და საჭიროებისამებრ სათანადოდ კორექტირება ხდება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მითითება ბოლო საანგარიშო თარიღის შემდეგ განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას აღემატება.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. ცვეთას ან ამორტიზაციას დაქვემდებარებული აქტივები ფასდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს იმის დასადგენად, არსებობს თუ არა აქტივების გაუფასურების რაიმე მინიშნება. თუ არსებობს აქტივის გაუფასურების რაიმე მინიშნება, აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის, რომელსაც აქტივი მიეკუთვნება) საბალანსო ღირებულება გაუფასურებაზე ტესტირებას გაივლის. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ ოდენობით, რა სიდიდითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება წარმოადგენს აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გასვლის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებასა და გამოყენების ღირებულებას შორის უდიდეს თანხას. გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივები ჯგუფდება ყველაზე დაბალ დონეებზე, რისთვისაც არსებობს ცალკე იდენტიფიცირებადი ფულადი ნაკადები (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). ცვეთას დაქვემდებარებული არაფინანსური აქტივები, „გუდვილის“ გარდა, გადაიხედება გაუფასურების შესაძლო გაუქმების მიზნით, ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება. სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასით, ხოლო შემდეგ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საწესდებო კაპიტალი. საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებაში განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებები მხოლოდ კომპანიის აქციონერის გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით და წარმოადგენს მიწოდებული საქონლისთვის მისაღებ თანხებს, მითითებულია ფასდაკლებების, ამონაგების და დამატებული ღირებულების გადასახადების გამოკლებით. კომპანია შემოსავალს აღიარებს: როდესაც შესაძლებელი იქნება შემოსავლის ოდენობის უტყუარად გაანგარიშება; როდესაც არსებობს მომავალი ეკონომიკური სარგებელის შედინების ალბათობა კომპანიაში; და როდესაც კონკრეტული კრიტერიუმები დაკმაყოფილდება კომპანიის თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებით, როგორც ქვემოთ არის აღწერილი. როდესაც ბარტერული გარიგების შედეგად მიღებული საქონლის სამართლიანი ღირებულება უტყუარად ვერ ფასდება, შემოსავალი განისაზღვრება გაცემული საქონლის ან მომსახურებების სამართლიანი ღირებულებით.

საქონლის გაყიდვა. საქონლის გაყიდვიდან შემოსავლის აღიარება ხდება რისკების გადაცემის და საქონლის საკუთრების უფლების გადაცემის ადგილზე, ჩვეულებრივ, საქონლის ტრანსპორტირების დროს. თუ კომპანია გადაწყვეტს საქონლის კონკრეტულ მისამართზე ტრანსპორტირებას, შემოსავალი აღიარდება მაშინ, როდესაც საქონელი დამკვეთს გადაეცემა დანიშნულების ადგილზე.

მომსახურების გაყიდვა. მომსახურების გაყიდვის აღიარება ხდება მომსახურების გაწევის საანგარიშო პერიოდში, იმ კონკრეტული ოპერაციის დასრულების ეტაპის მითითებით, რომელიც ფასდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების საფუძველზე, როგორც მთლიანი მომსახურების ნაწილი.

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება დროითი პროპროციის საფუძველზე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

მიმდინარე საშემოსავლო გადასახადი. საშემოსავლო გადასახადები წარმოდგენილია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს მოქმედი ან ფაქტიურად მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. 2016 წლის მაისში, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა მოგების გადასახადით დაბეგვრის არსებულ მოდელში ცვლილებები, რომელიც მოიცავს გარკვეული ფინანსური ინსტიტუტების გარდა, ყველა იურიდიული პირის მიმართ 2017 წლის 1 იანვრიდან ასამოქმედებელ ცვლილებებს. შეცვლილი მოდელის მიხედვით, გაუნაწილებელი მოგება დაიბეგრება ნულოვანი საგადასახადო განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგება - 15%-იანი საგადასახადო განაკვეთით. წინა მოდელის მიხედვით კი, კომპანიის მოგებას დაბეგვრამდე 15%-იანი მოგების გადასახადი ერიცხებოდა მიუხედავად იმისა, განაწილებული იყო მოგება თუ გაუნაწილებელი.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესი ამოქმედდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება კომპანიაზე, ხოლო საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც ფაქტობრივ, ისე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის არის:

- განაწილებული მოგება;

- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობას არ უკავშირდება;
- საქონლის/მომსახურების უსასყიდლო მიწოდება ან/და ფულადი სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომელიც აქარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის“ მუხლში. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივები და საგადასახადო ვალდებულებები იმ თანხით აისახება, რომელიც, სავარაუდოდ, კომპანიამ უნდა გადაუხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიიღოს მათგან.

ზემოთ ჩამოთვლილ სხვა კომპონენტებზე დაწესებული გადასახადი მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება მუხლში „გადასახადები და მოსაკრებლები“.

დაბეგვრის კონცეფციის შეცვლის შედეგად, ტერმინი „აქტივების და ვალდებულებების დასაბეგრი ბაზა“ კარგავს თავის ეკონომიკურ მნიშვნელობას და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები და აქტივები ქმედითი აღარ არის მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი მოდელის საფუძველზე.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. შიდა გადაზიდვის მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება (ა) დამკვეთების მხრიდან ავანსის ჩარიცვისთანავე ან (ბ) მომსახურების დამკვეთებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე, დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას.

2015 წლის 7 დეკემბერს, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა ბრძანება #407, რომლის მიხედვითაც, გადასახადის გადამხდელთა ვალდებულებები ყველა გადასახდზე, მათ შორის მოგების გადასახადზე, ასევე გადასახადის გადამხდელთა მიერ განხორციელებული ყველა გადახდა შესრულდება/განხორციელდება ერთიან საგადასახადო ანგარიშზე. შედეგად, ყველა საგადასახადო ვალდებულება და აქტივი წარმოდგენილია ნეტო საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგებაში ცვლილებები მისი გამოქვეყნების შემდეგ. კომპანიის აქციონერს და ხელმძღვანელობას უფლება აქვს ცვლილებები შეიტანოს ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოქვეყნების შემდეგ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები, ვარაუდები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაში

კომპანია აკეთებს გარკვეულ შეფასებებს და დაშვებებს, რაც გავლენას მოახდენს მომდევნო ფინანსური წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე. შეფასებები და ვარაუდები მუდმივად ფასდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო

მოვლენების კეთილგონივრულ მოლოდინებს. შეფასებების გარდა, ხელმძღვანელობა ასევე გამოთქვამს გარკვეულ ვარაუდებს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის გამოყენების პროცესში. ვარაუდები, რომლებიც ყველაზე მეტ გავლენას ახდენს ფინანსური ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე, და შეფასებები, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად დააკორექტიროს აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, არის შემდეგი:

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადას ხელმძღვანელობა განსაზღვრავს, მსგავს აქტივთან მიმართებაში მიღებული გამოცდილების საფუძველზე. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ დამცველებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი გამოიყენება. ნებისმიერ ასეთ პირობებში ან შეფასებებში ცვლილებამ შეიძლება სამომავლო გაუფასურების მაჩვენებლების კორექტირება გამოიწვიოს.

დაკავშირებულ მხარესთან გარიგებების თავდაპირველი აღიარება. ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, ბანკი გარიგებებს აფორმებს დაკავშირებულ მხარეებთან. შეფასება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგებების ფასები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებითაა შეფასებული თუ არა, თუ ამგვარი გარიგებებისთვის მოქმედი ბაზარი არ არსებობს. შეფასების საფუძველია დაუკავშირებელ მხარეებთან მსგავსი ტიპის გარიგებების ფასის განსაზღვრა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზი.

4. გაუთვალისწინებელი ხარჯები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომელიც ხშირად გაუგებარი და ურთიერთგამომრიცხავია და რომელსაც სხვადასხვა საგადასახადო ორგანოები განსხვავებული ინტერპრეტაციით წარმოგვიდგენენ. გადასახადები ექვემდებარება იმ რიგი სახელმწიფო ორგანოების მხრიდან გადახედვას და გამოკვლევას, რომლებიც უფლებამოსილი არიან დააწესონ მკაცრი სანქციები, ჯარიმები და საპროცენტო დარიცხვები. საგადასახადო წელი მომდევნო ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში რჩება ღია, საგადასახადო ორგანოების მხრიდან შემოწმების მიზნით; თუმცა, გარკვეულ გარემოებებში, საგადასახადო წელი შესაძლებელია ღიად დარჩეს უფრო დიდი ხნის განმავლობაშიც.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება საგადასახადო რისკი შექმნას, რომელიც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, ის ადეკვატურად უზრუნველყოფს საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას. თუმცა, შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს და ამ ინტერპრეტაციების წარმატებით აღსრულებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ანგარიშების თარიღის შემდეგ განვითარებული მოვლენები

ანგარიშების თარიღის შემდეგ არ მომხდარა ისეთი მოვლენა, რომლის აღრიცხვაც აუცილებელია კომპანიის 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ან რომელიც გამოიწვევს კორექტირებებს იგივე ფინანსურ ანგარიშგებაში.